საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომიერი განათლების ასოციაცია

Georgian Physicians Postgraduate Association

IV პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია

„კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები“

14-23 თებერვალი, 2014 წელი

ბაკურიანი

ასოციაციის პრეზიდენტი
პროფ. ალექსანდრე თელია

ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი
პროფ. გურამ დავითაია

კონფერენციის სამეცნიერო
დირექტორი
პროფ. ბორის კორსანტია

ძვირფასო კოლეგა!

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ 2014 წლის **14-23 თებერვალს** დაბა **ბაკურიანში** საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია ატარებს IV პოლიპროფილურ სამედიცინო კონფერენციას:

კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

კონფერენციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებსა და სუბსპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების დამკვიდრების ხელშეწყობა და სპეციალისტთა შორის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის თემატიკა მოიცავს **დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორებში (ICD10; ICPC2)** შემავალ სიმპტომებს, სინდრომებს და ნოზოლოგიებს, ასევე, ლაბორატორიული მედიცინის, კლინიკური ფარმაკოლოგიისა და ფარმაციის იმ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია პრაქტიკული მედიცინისთვის.

ფორუმზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო და კოსმეტოლოგიური ცენტრების, ფარმაცევტული კომპანიების პროდუქცია, ინოვაციები და პროგრამები.

კონფერენცია აკრედიტებულია დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიერ, ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს მიენიჭება 45 კრედიტ-ქულა და გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

გარდა ამისა, კონფერენციაზე დამსწრეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან კულტურულ პროგრამებში (მუსიკალური საღამოები, სპორტული ღონისძიებები); მოისმინონ ხელოვნების, პოლიტოლოგიისა და ისტორიის სფეროში მოღვაწე ქართველი სპეციალისტების საინტერესო ლექციები.

საორგანიზაციო კომიტეტი გიწვევთ ამ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მომხსენებლის, თანამომხსენებლის, მსმენელის და/ან სპონსორის სტატუსით.

კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია **სასტუმრო „თბილისის“** საკონფერენციო დარბაზში. მონაწილეები განთავსდებიან ამავე და მასთან მიმდებარე სხვა, ასევე მაღალი კლასის სასტუმროებში **ექსკლუზიური ფასდაკლებით**.

სასტუმრო **„თბილისის“** სრული საგზურის ღირებულებაა **600 ლარი**. 7-11 წლის ასაკის ბავშვებისთვის გათვალისწინებულია 30%-იანი ფასდაკლება (**420 ლარი**). 0-6 წლის ასაკის ბავშვებისთვის - უფასო. შესაძლებელია ადგილების წინასწარი დაჯავშნა. ჯავშანის ღირებულება 70 ლარი (ჯავშანის თანხა შედის საგზურის ღირებულებაში).

თი-ბი-სი ბანკი, კოდი: **TBCBGE22;** მიმღები: **საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია;** ანგარიშის ნომერი: **GE 37 TB 7795 0360 2010 0001**

დამატებითი ინფორმაცია ასოციაციის და კონფერენციის შესახებ იხილეთ საიტზე: **www.postdiplom.ge**

ვინაიდან მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, გთხოვთ, დროულად შეგვატყობინოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა და მოგვაწოდოთ არაუგვიანეს **10 იანვრისა** ასოციაციის ოფისში: თბილისი, ქავთარაძის 16, DKC, შ.პ.ს. **„დეკა“** (ყოფილი „სამკურნალო კომბინატი”), ოთახი 322, 17 სთ-დან 19 სთ-მდე; ტელ.: **555 70 20 20**; 555 20 60 60; 555 22 11 88; 599 22 22 03 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: **info@postdiplom.ge**

გისურვებთ წარმატებას და ველით თქვენთან შეხვედრას!